

# ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,



„განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ,,

2023 წელი 31 ოქტომბერი №10 (8197) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

## „კასპობა - 2023,,






















ის სიმღერაა საქართველოსი ... გვ4.

ოფიციალური ქრონიკა გვ3.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით,, გვ3.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გვ3.

გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გვ3.

ნახევრხიანი წრის „გენერლები,, გვ5.

დიდედა დოესიდან გვ7.

# „კასპობა – 2023“

● საკონცერტო პროგრამა

ქალაქში იმ დღეს, თითქოს საგანგებოდ, მშვენიერი დარი იდგა. ორგანიზატორებსა და მოთავეებს, თითქოს გამოეთვალათ ამინდის მოულოდნელი ცვალებადობა, ქალაქის სადღესასწაულო ზეიმი 21 ოქტომბრისათვის დაენიშნათ და გამართლებოდათ კიდეც: კასპს შუაგულშემოდგომის თბილი მზე ათინათებდა, ასხივოსნებდა...

მერედა, ამდაგვარ შემოდგომაზე, ზეცადა თუ ხმელეთად, როგორ ილვრება მხატვრის პალიტრისმგვანი ფერები! მერედა, ქალაქის მთავარმა, ახლახან განახლებულმა მოედანმა და გაკოხტავებულმა სკვერმა, როგორ გახსნა სივრცითი გარემო! თითქოსდა გაფართოვდა და განდაგან გაიწია, რათა ყველა დიდ-პატარისათვის, კასპელებისა და სტუმარწვეულებისათვის გაეღო გულისკარი! მათთვის ეჩუქებინა ერთი დღე, ზეიმი, კონცერტი, სიმღერა, გასართობი თუ ნაირგვარი ასპარეზობანი, ატრაქციონები... აემაღლებინა სადღესასწაულო განწყობილება, თუნდაც რამდენიმე საათით დაევიწყებინა ყოველდღიური ყოფითი და საარსებო საზრუნავი!

მოუხდა, დამშვენდა, გაითავისა ისტორიულმა კასპმა დღე თავისი წილი ზეიმობისა! თუნდაც იმ სანახაობრივ და სივრცით ჩარჩოებში, ბოლო ათწლეულში რომ ინარჩუნებს, პომპეზურობას რომ არ გამოდევნებია...

***

✦ „კასპობა – 2023“-ის საკონცერტო პროგრამა წარმოდგენილი იყო ქალაქისა და სოფლების კულტურის დაწესებულებების თვითმოქმედი კოლექტივებით, ინდივიდუალური მუსიკოსშემსრულებლებით, საყმაწვილო თეატრითა და სტუდიით.

მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურისა (უფროსი თეა ხორბალაძე) და კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების (დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი) სპეციალისტებს პროგრამის შედგენისას იმდაგვარად უზრუნიათ, რომ საშუალება და შანსი მონაწილეობისა, რაც შეიძლებოდა, მეტს ჰქონოდა, თანაც, სარეპერტუარო საუკეთესო ნომრებით წარმოჩენილიყვნენ.

„ახალი განთიადის“ მკითხველს ვთავაზობთ „კასპობა – 2023“-ის საკონცერტო პროგრამაში მონაწილეთა ნუსხას:

● ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები:

„მოურავი“ (ხელმძღვანელი რევაზ კერესელიძე) – შარშანდელ „კასპობაზე“, ზუსტად ერთი წლის წინათ, 2022 წლის 23 ოქტომბერს ვარსკვლავოსანი კოლექტივი გახდა. მისი ვარსკვლავი გაიხსნა კასპის კულტურის ცენტრის მოედანზე. იგი მას იმსახურებდა ოთხ ათეულ წელზე მეტიხნის აქტიური მუსიკალური საქმიანობისათვის. გვსურს, აქვე კასპელებს შევახსენოთ, რომ იგი გასულ საუკუნეში, 1980 წელს ჩამოყალიბდა, თავდაპირველად „სამშობლო“ ეწოდა, მალე კი „მოურავი“ დაენათლა და სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი და გამოცდილი მომღერალ-შემსრულებლებით არის დაკომპლექტებული, რომელთაც თანდათან ენაცვლებიან ახალგაზრდები. შემთხვევითი არც ის იყო, რომ „კასპობა – 2023“-ის საზეიმო გახსნის პატივი ერგოთ „მოურავის“ შავჩოხოსნებს. მათებურად შესრულებული ქართული მრავალხმიანი „მრავალჟამიერი“ მთელი კონცერტის სიმბოლურ პრელუდიად გადაიქცა და გამომწვევი გახდა სხვა კოლექტივებისათვის.

დომენტი მამულაშვილის სახელობის ქორეოგრაფიული ანსამბლი „რკონი“ (ქორეოგრაფები მაკა დათაშვილი და ნინო ხუროშვილი) – მისმა სოლისტებმა შეასრულეს ცეკვა „ქართული“, ხოლო მოცეკვავეთა ჯგუფმა ცეკვები „ოსური“ და „აჭარული“.

ანსამბლი „ქართლი“ (ხელმძღვანელი ხათუნა გაგაძე) – წარმოადგინა ორი ცეკვა: „ყაზბეგური“ და „აფხაზური“.

ანსამბლი „იმედი“ (ქორეოგრაფი ინგა თაბუკაშვილი) – მისი საგვირგვინო ნომერი გახდა „ლაზური“.

დავით ჯავრიშვილისა და რევაზ ჭოხონელიძის სახელობის ვარსკვლავოსანი აკადემიური ანსამბლი „დიდგორი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, მთავარი ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფი დარინა პაპაშვილი) – ცეკვები „აფხაზური“ და „აჭარული მოტივები“.

ქორეოგრაფიული ანსამბლი „სხვილოელნი“ (ქორეოგრაფი ნინო პავლიაშვილი) – ცეკვა „აჭარული“.

ანსამბლი „ფერხული“ (ქორეოგრაფი მარიკა ბიჭიკაშვილი) – ცეკვები „აჭარული“ და „სამაია“.

სოფელ თელიანის სასოფლო კლუბთან არსებული ანსამბლის მოცეკვავეებმა შეასრულეს „ნარნარი“.

ქორეოგრაფიული ანსამბლი „ამაღლება“ (ქორეოგრაფი ნინო პავლიაშვილი) – ცეკვა „ქართლკახური“.

სოფელ აღაიანის სასოფლო კლუბთან არსებული ხალხურ საკრავთა საბავშვო ანსამბლი „თხოთი“ (ხელმძღვანელი ირაკლი ქაწაშვილი) – „პოპური“.

ქორეოგრაფიული ანსამბლი „წინარეხი“ (ქორეოგრაფი მანანა კვესიაშვილი) – ცეკვა „გარე კახური“.

ქ. კასპის სამუსიკო სკოლის გუნდი (ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი) – ხალხური სიმღერა „ცელო, მოუსვი ბალახსა“.

● ინდივიდუალური შემსრულებლები:

პროფესიონალმა მუსიკოსმა, ლოტბარმა და პედაგოგმა ზაზა მენაბდიშვილმა შარშანდელ „კასპობაზე“ ნორჩი მომღერლები წარუდგინა თანაქალაქელებს, წლევანდელზე კი სოლონომერი შეასრულა.

მამუკა ბარდაძე – ნაცადი მუსიკოს-შემსრულებელია. მთავარ საკონცერტო სცენაზე გამოსვლისას განაცხადა, – ვიცი, აქ ჩემი ბევრი მეგობარი იმყოფება. ახლა საგანგებოდ ვიმღერებ მათთვის და ჩემი საყვარელი კასპელებისათვის, რომელთა წინაშე პირველად წარვდგებიო. ის ამჟამად ქ. თბილისში უკრავს ერთ-ერთ მუსიკალურ ჯგუფში (აქვე კასპელებს გავახსენებთ, რომ მისი უმცროსი ძმა ბესო ბარდაძე 1985 წელს თვით რობერტ ბარძიმაშვილმა (ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „75“-ის ხელმძღვანელმა) წარადგინა ჩვენი ქალაქის კულტსახლის სცენიდან და ამაზე წერდა მაშინდელი „განთიადი“).

გიორგი ხასიშვილი – ქ. კასპის სამუსიკო სკოლის პედაგოგი აქტიურად საქმიანობს ბავშვთა გუნდებთან (ასწავლის სამთავისისა და იგოეთის საჯარო სკოლებშიც), ასევე, სათავეში უდგას სამთავისის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდს. ამასთან, როგორც ჩანს, ბევრს მუშაობს საკუთარ თავთანაც. ამისი დასტურია მისი ამასწინანდელი დებიუტი ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე. და, აი, ქალაქის სადღესასწაულო კონცერტისას მან შეასრულა სიმღერა „ნოსტალგია“.

ქ. კასპის პირველი საჯარო სკოლის მეხუთეკლასელმა მოსწავლემ ანა თამარაშვილმა სცენაზე იმდაგვარი მხატვრული გამომსახველობით წაიკითხა პატრიოტული შინაარსის ლექსი, რომ კულტურის სამსახურის ხელმძღვანელთა მოწონებაც დაიმსახურა და შექებაც, – თურმე კასპელებს როგორი ნორჩი დეკლამატორი გვეზრდებაო!

მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტმა დიმიტრი მაღლაკელიძემ წაიკითხა ლექსი „ჩემს კასპს“, რომელიც სწორედ წინასადღესასწაულო დღეებში მიუძღვნა მშობლიურ ქალაქს.

საგანგებოდ აღსანიშნავია სოფელ დოესის სამუსიკო სკოლის (დირექტორი მარინა გათაშვილი) ორი მოსწავლე – გოგონას სასცენო დებიუტი კასპელი პუბლიკის წინაშე. ესენი არიან ნინო ლაბარი და მელანო ჯანჯალაშვილი. პირველმა იმღერა „ჩემი საქართველო აქ არის“, ხოლო მეორემ ინგლისურენოვანი სიმღერა. მელანო ამას წინათ ესპანეთში იმყოფებოდა ქ. თბილისის მუსიკალურ-შემოქმედებითი სტუდია „ბომბორას“ (ხელმძღვანელი ლია ხორბალაძე) წარდგინებით და გაიმარჯვა საერთაშორისო კონკურსის 12-წლამდელთა კატეგორიაში. იქ კი ქართული ოპერის მომავალმა ჩვენებურმა ვარსკვლავმა და მეცოსოპრანომ სწორედ ზემოთ მინიშნებული სავალდებულო ნომერი იმღერა და, ზედაც, მშობლიური – ინოლა გურგულიას „მამულო“.

● თეატრი, სტუდია, ბენდი...

წელიწადნახევარია გასული, რაც კასპში ჩამოყალიბდა საყმაწვილო თეატრი „ფარდის მიღმა“. მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორია ქ. რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი, ჩვენებური მიწა-წყლის შვილი ეკატერინე ქვრივიშვილი.

ახალგაზრდული დასის რეპერტუარში ჯერჯერობით ერთადერთი თეატრალიზებული ინსცენირებაა – „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილება“ – ვაჟა-ფშაველას თხზულებათა მიხედვით. აი, ამ ინსცენირების საკვანძო მონაკვეთი გააცოცხლეს „ფარდის მიღმას“ ახალბედა მსახიობებმა. ისინი წლევანდელ ზაფხულში საბერძნეთში იმყოფებოდნენ პირველი უცხოური გასტროლით და ძველი ელადის ქვეყნიდან შინ ლაურეატი დასის სახელით დაბრუნდნენ.

ქ. კასპის სამეჯლისო ცეკვების სტუდია „მზის სხივის“ (ხელმძღვანელი გიორგი მჭედლიშვილი) ნორჩმა მოცეკვავეებმა, დებმათეკლა და ნუცა ქებაძეებმა, წარმოადგინეს პლასტიკური ნომერი.

ჩვენს ქალაქში შარშან ჩამოყალიბებული მუსიკალური ბენდი კვლავაც ოპტიმალური შემადგენლობის შემსრულებლების ძიებას აგრძელებს. ახლანდელი, საოქტომბრო, სადებიუტო გამოსვლისას კასპის ბენდი წარმოგვიდგა შემდეგი შემადგენლობით: კობა კრიჭაშვილი (კომპოზიტორი, ხელმძღვანელი), მიხეილ ქოსაშვილი, ჯაბა ნონიაშვილი, გია ყაზარაშვილი, ხატია მამულაშვილი, თამარ და თინათინ ქოსაშვილები.

● მუსიკალური ჯგუფი „ლაუდსპიკერსი“

ქალაქის ზეიმისადმი მიძღვნილ აფიშაზე მითითებული იყო დედაქალაქური მუსჯგუფის დასახელება – „ლაუდსპიკერსი“, რომელიც გამართავდა გალაკონცერტს.

– ნეტა, რა ჯგუფია, მასში ვინ უკრავენ? – კითხულობდა ბევრი კასპელი, ვისაც არაფერი სმენოდა მასზე... დიახ, ასეთი კონცერტის ჩატარება გამართლებულია იმითაც, რომ პატარა ქალაქის მუსიკის მოყვარულებს, მეტადრე ახალგაზრდობას, მიეცეს ახალი ჯგუფების ხილვის საშუალება „ცოცხალ რეჟიმში“.

ამიტომ ჩვენი გაზეთის მკითხველსაც მივაწვდით მცირე ინფორმაციას „ლაუდსპიკერსის“ შესახებ:

ჯგუფი შეიქმნა 2009 წელს და მისი დამაარსებლები არიან ლევან ცხვარაძე (ლაუდაძე) – ვოკალისტი და მეგიტარე, ალეკო დოლიძე – მეკლავიშე. იმავე წელს შეუერთდა ბასგიტარისტი ლევან მამალაძე. ჯგუფმა პირველი კონცერტი გამართა 2010 წლის იანვრის ბოლოს ქ. თბილისის როკკლუბში, ივლისში – „მოძრაობის თეატრის“ ეზოში. 2011 წლის თებერვალში სოლო კონცერტით გამოვიდა „მაგთიკომის“ დარბაზში. ჯგუფში რამდენიმე დრამერი შეიცვალა (სანდრო ჟღენტი, ოთარ გურგენიძე, ზურაბ მჭედლიშვილი), ბოლოს დავით ცომაია მივიდა და დღემდე იქაა.

2015 წელს გამოუშვა სტუდიური მცირე ალბომი. მერე წავიდა და წავიდა, „ლაუდსპიკერსი“ აქტიურად გავიდა ალტერნატიული და ინდიროკის ორბიტაზე...

... დავძენთ იმასაც, რომ ჯგუფი პირველად იმყოფებოდა ლეხურისპირელთა ქალაქში და აქაური მაყურებელ-მსმენელის მხრიდან ისეთი მიდგომის და აღტაცების მუხტი მიიღო, თვითონაც შთაბეჭდილებით აღსავსე დაურჩა მასპინძლებს.

● სტუმრები, სტუმრები...

„კასპობა – 2023“-ის მონაწილეებსა და დიდძალ მაყურებელს ქალაქის საშემოდგომო დღესასწაულო მიულოცეს საეკლესიო და სახელისუფლო პირებმა:

გაგრძელება გვ3.

## „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით„

კასპის მუნიციპალიტეტში გრძელდება “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში, მოსახლეობის მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელება.

ლამისყანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თვაურებში, სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოსწორება - მოშანდაკების სამუშაოები მიმდინარეობს.

აღნიშნული გზის სამუშაოები ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომელსაც ი/მეწარმე დავით კოშაძე აწარმოებს.

პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს მოსახლეობის მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურით გადაადგილებას.

## კასპში ვეტერანთა დღე აღინიშნა

ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ვეტერანებთან და რიგით მოქალაქეებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი და დაუმარცხებელი ქართველი გენერლის გიორგი მაზნიაშვილის ბიუსტი გვირგვინით შეამკეს. მათ სამშობლოს ერთიანობისთვის დაღუპული მებრძოლების ხსოვნას პატივი კიდევ ერთხელ მიაგეს.

17 ოქტომბერი არის ყველა თაობის ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა დღე. ადამიანების, რომლებმაც სამშობლოს ერთიანობისათვის თავდაუზოგავად იბრძოლეს და მათგან ბევრი საკუთარ ოჯახებს ვეღარ დაუბრუნდა.

საქართველოში ვეტერანის დღე 2014 წელს დაარსდა და წელს მეათედ აღინიშნა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია ყველა ვეტერანს უსურვებს ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და მადლობას უხდის ქვეყნის წინაშე ფასდაუდებელი ღვაწლისთვის.

## მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა გრძელდება

სოფელ ხოვლეში ბეტონზე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობა დასრულდა. სპორტული მოედანი მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, მერის მოადგილესთან ზურაბ კოპაძესთან, საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილთან, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან და ხოვლის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან თამაზ ხუციშვილთან ერთად დაათვალიერა. თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ მოედანზე დაგებულია მწვანე საფარი, განთავსებულია ფეხბურთის კარი, კალათბურთის ფარები და მოწყობილია გარე განათება.

სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და შპს “დანიქონთრაქშენმა” განახორციელა. სპორტული მოედანი, ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და დროის მიზნობრივად გამოყენებაში.

## თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი

კასპში ყაზბეგის ქუჩაზე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბეტონზე ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობის სამუშაოები დასრულების პროცესშია.

პროექტის მიმდინარეობას კასპის მუნიციპალიტეტს მერი ვახტანგ მაისურაძე მოადგილეებთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ერთად ადგილზე გაეცნო.

მოედანი განკუთვნილია, როგორც ფეხბურთის, ასევე კალათბურთის სათამაშოდ. უკვე დასრულდა შესაბამისი ინვენტარით აღჭურვაც.

ხელოვნურსაფარიანი მოედნის სამუშაოებს შპს “ევროალიანსი” ახორციელებს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 78 791 ლარია.

ახალგაზრდებში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის საჭიროა მეტი სპორტული სივრცე და ხელშეწყობა, რასაც კასპის მუნიციპალიტეტის მერია მიზნობრივად ახორციელებს.

## გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება

კასპის მუნიციპალიტეტში ზემო ხანდაკი - ხოვლეს ადგილობრივი მნიშვნელობის გზიდან სოფელ კალოუბანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო.

გზის რეაბილიტაციის მიმდინარეობას მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერის მოადგილე ზურაბ კოპაძე, საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები ადგილზე გაეცნენ.

სოფლის ბოლომდე მისასვლელი 1 500 გრძივი მეტრი სიგრძის გზის აღდგენას ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს “საგზაო სამშენებლო სამმართველო №1” ახორციელებს.

პროექტი რეგიონული განვითარების ფონდის და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 758 737 ლარის ფარგლებში განხორციელდება.

გზაზე, რომელზეც აქამდე ასფალტი არასდროს ყოფილა - ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგება, ამ ეტაპზე კი მიწის ვაკისის მოწყობა მიმდინარეობს.

## არმირებული კედლის მოწყობის სამუშაო

ქალაქ კასპში მაზნიაშვილის ქუჩაზე არმირებული კედლის მოწყობის სამუშაო მიმდინარეობს.

არმირებული კედლის მოწყობის სამუშაოს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს “ვერბალგრუპი” ახორციელებს.

პროექტი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 268 999 ლარია.

შპს “ვერბალგრუპი” ამჟამად ბეტონის მოწყობის სამუშაოებს აწარმოებს. პროექტის დასრულება მომავალში უზრუნველყოფს მიწის ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილებას.

## მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია

ქალაქ კასპში გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაციის სამუშაოებს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე მოადგილეებთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან ერთად გაეცნო.

ჩასატარებელ სამუშაოებში შედის, როგორც შიდა ინტერიერის სარეაბილიტაციო, ასევე გარე სამუშაოები.

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება მთავარ საგამოფენო ოთახს და დერეფანს. გაილესება და შეიღებება კედლები, მოეწყობა ლამინირებული იატაკი, სველი წერტილები და ჭერი.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია გარე ინტერიერის, კერძოდ აივნის გადახურვის კონსტრუქციის მოწყობა და აივნის ზედაპირის განახლება.

მიმდინარე სამუშაოს ი/მ ჯემალ ჭოველიძე ახორციელებს. პროექტის ბიუჯეტი 82 670 ლარია.

## სოფელ კავთისხევში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევში არსებული გმირთა მემორიალის აღდგენის და სკვერის მოწყობის სამუშაოებს, კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე მერის მოადგილესთან ზურაბ კოპაძესთან ერთად ადგილზე გაეცნო.

პროექტის ფარგლებში ჩატარდება არსებული ღობის, ბილიკების, კიბეების და მოედნის რეაბილიტაცია.

დაგეგმილია სპორტული და საბავშვო სივრცის, ასევე ფანჩატურის და ხეივნის, სკამების და გარე განათების მოწყობა, ტერიტორიაზე დაირგვება ხე-მცენარეები.

სკვერის მოწყობის სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს “დანი ქონსთრაქშენი” ახორციელებს.

მალე ადგილობრივი მოსახლეობა ერთ სივრცეში კეთილმოწყობილი სპორტული და საბავშვო ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.**

## „კასპობა -2023„

*გაგრძელება დასაწყისი იხ. გვ2.*

ატენისა და გორის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე ანდრიამ (გვაზავამ) და შიდა ქართლის მხარის რწმუნებულმა მიხეილ შაყულაშვილმა; ასევე, მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე.

კასპში გვსტუმრობდა ჩვენებურების მიერ მოწვეული რამდენიმე უცხოელი. მაგალითად, საქართველოში გერმანიის საელჩოს წარმომადგენლებს მასპინძლობდა კასპის ზრდასრულთა განათლების ცენტრის დირექტორი სალომე მუხიგულაშვილი: — რალფ შმიდტი და თომას ლიხტენბერგი აქ იმყოფებოდნენ წლევანდელ მარტში ცენტრის გახსნის დროს და კასპში მორიგი სტუმრობისას აღივსნენ უდიდესი შთაბეჭდილებებით.

აი, საყოველთაოდ ცნობილი კომპოზიტორი ქალბატონი მარიკა კვალიაშვილი კი მოიწვია კავთისხეველი მუსიკოსხელოვანების — კელაპტრიშვილების ახალგაზრდა წარმომადგენელმა — მიხეილ კელაპტრიშვილმა. ცნობილ საესტრადო და საბავშვო სიმღერების ავტორთან ფოტოსურათის გადაღება პატივად მიიჩნია ბევრმა კასპელმა, ვინც საპატიო სტუმარი გაიცნო. ერთ-ერთი მათგანია სოფელ ახალციხის სასოფლო კლუბის გამგე მარიამ ტალახაძე. აი, რა გვითხრა მან:

— დღევანდელი “კასპობა” მუდამ მემახსოვრება. მან სიხარული და ბედნიერება მომანიჭა. აქ შევხვდი საყოველთაოდ ცნობილ კომპოზიტორს, რომლის სიმღერებზე გავიზარდეთ მეცა და უამრავი ქართველიც. მადლობა მას, ესოდენ სოლიდურ ასაკში დაუღალავი და შეუწყვეტელი შრომისათვის, იმ ულამაზესი სიმღერებისათვის, თაობებს რომ ჩუქნიდა და კვლავაც უძღვნის. პირადად კი ვუსურვებ, თავისი შემოქმედებით კიდევ დიდხანს გაამდიდროს ქართული კულტურა.

- საგანმანათლებლო სფეროს პედაგოგთა და სტუდენტი — მოსწავლე ახალგაზრდების დაჯილდოება

ისინი ორნი იყვნენ. დაჯილდოებისას სცენაზე გვერდი-გვერდ აღმოჩნდნენ. ყველა ულოცავდა. ერთმანეთსაც მიულოცეს.

ასაკით უმცროსმა უფროსს სახალხოდ მადლობა მოახსენა, მის ცხოვრებაში დატოვებული განათლების შუქისათვის.

სიმბოლურია: მასწავლებელი ძველ თაობას განასახიერებდა, ნამოწაფარი — ახალს.

დიახ, ორნი იყვნენ — ამჯერად კოლეგები, საგანმანათლებლო “ფრონტის” გამოცდილი და სტაჟიანი, ღვაწლდაფასებული მასწავლებლები:

მარინა მენაბდიშვილი — კასპის პირველი საჯარო სკოლის ფილოლოგი, მშობლიური ენისა და ლიტერატურის კვალიფიცირებული სპეციალისტი, აწ უკვე საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

ნინო ნიპარიშვილი — კასპის შპს “ბესიკ ნიპარიშვილი” — მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის საზოგადოებრივი და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი — პროექტ “მასწავლებლის ეროვნული ჯილდო — 2023”-ის საფინალო, საუკეთესი ხუთეულის წევრი.

***

კასპობის სცენაზე წარდგნენ გასული სასწავლო წლის კურსდამთავრებული მედალოსნები, სახელმწიფო გრანტის მიმღებნი, საბაზო განათლების ამჟამინდელი წარჩინებულები, ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდიის ახალი მფლობელები.

ისინი ბევრნი იყვნენ. მთელი სცენა გადაავსეს. მათ ყველა ულოცავდა და მხურვალე ტაშით მიესალმებოდა. დაე, იმრავლონ, იმრავლონ!

- სპორტული აქტივობები:

კულტურულ-გასართობი და შემეცნებით-სახალისო ერთიანი პროგრამის ფარგლებში გაიმართა რამდენიმე სპორტული ღონისძიება. მათში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის სპორტდაწესებულებათა გაერთიანების სასწავლო-სავარჯიშო ჯგუფებისა და სექციების სპორტსმენები, ასევე, ქალაქისა და სოფლების მოსწავლე-ახალგაზრდობა. შეჯიბრებები ღია ხასიათისა იყო, ეს

*გაგრძელება გვ7.*

# ეს სიმღერაა საქართველოსი ...

ფესტივალი "ქართლური ხმები" ექვსი წლისაა. პირველი 2018 წელში ჩატარდა. ეს კი მეოთხე იყო. საერთო რიგითობაში აღრევა გამოიწვია 2020-21 წლების პანდემვითარებამ (მის გამო "ჩავარდა" ორი ფესტივალი).

ის, პირველი, საგანგებოდ ჩატარდა სამთავისში. იქაური ამაღლების საკათედრო ტაძარი თითქმის ათსაუკუნოვან ისტორიას მიითვლის. ამიტომ სამთავისი გამოარჩიეს.

დიახ, მთავარი და არსებითი იყო კონკრეტული გარემო – სად ჩატარდებოდა ხოლმე ტრადიციული ქართლური სიმღერისა და გალობის ფესტივალი? – აბა, საეკლესიო სივრცეზე, წმინდაკედლებიან და გალავნებით შემოსაზღვრულ დარბაზებზე, ეზო-ტერიტორიებზე უკეთესი, სად და რა უნდა შერჩეულიყო! ჰოდა, პირველი და მეორე ფესტივლის მონაწილეებს (2018–2019 წლებში) სოფელმა სამთავისმა გაუშალა მწვანე და ხავერდოვანი ფიანდაზი, მესამისას (2022-ში) – სოფელ ახალქალაქის განახლებულმა ციხე-გალავანმა!

დიახ, მის რაობითობას რაც შეეხება, იგი განაპირობა თვით უპირველესმა მიზანმა და დანიშნულებამ ფესტივლისა – აქ, საკასპელოში, ტრადიციული ქართლური სიმღერებისა და საგალობლების კორიფეების – კავსაძეების, კარგარეთლების, თარხნიშვილებისა და სხვათა მხარეში, ერთიანი მასშტაბურობითა და განშლით გამონახულიყო მოხერხებული და მშვენიერი საშუალება ჩვენებური – ქართლური – სიმღერა-საგალობლების ზეწარმოჩენისა, აღსრულებისა, ანუ, მოფრთხილებისა, პოპულარიზაციისა, დაფასებისა! ჰოდა, ზემოჩამოთვლილი ფესტივალების (წინარე სამისა და, აგერ, მეოთხისა) მაგალითებზე შეგვიძლია თქმა, რომ მათი რაობითობის ხარისხი და დონე მიღწეულია! მათში ჩართული ანსამბლები, სადებულებო პირობისამებრ, ასრულებენ სავალდებ-



ულო პროგრამულ ნომერს – ქართლურ ერთ სიმღერას და, ზედაც სურვილისამებრ, მეორესაც (ან რამდენიმეს) – საკუთარი მხარის, კუთხისა თუ მთა-ხეობისათვის დამახასიათებელს, მშობლიურს.



დიახ, აი, ვინაობითის ნიშნული ვისზე უნდა შეჩერებულიყო? – ცხადია, მონაწილეებზე! ჰოდა, აგერ, ბატონებო: ფესტივალებში სულ უფრო მეტი პროფესიული ანსამბლი მონაწილეობს, ეს კი დასტურია ფესტივლის მზარდი პოპულარობისა, აღიარებისა, ცნობადობისა, პრესტიჟისა! აკი ზემოთაც ვთქვით, ამდაგვარი ერთობლივი და ფართო შეკრება პროფესიული ანსამბლებისა, მეტადრე ერთიან სივრცეში, ერთიანი პატრონაჟით, თვით დედაქალაქშიც ჯერ არ მომხდარა.

***

წლევანდელ 23 სექტემბერს სოფელ სამთავისში, ტრადიციული ქართლური სიმღერისა და გალობის ფესტივალი "ქართლური ხმები – 2023" ფაქტიურად გაიხსნა ამაღლების საკათედრო ტაძრის გუმბათქვეშა დარბაზში. კახეთიდან, გურიიდან, სვანეთიდან, დედაქალაქიდან წარმოგზავნილმა რამდენიმე ანსამბლმა მონაცვლეობით იქ დააბუბუნა საგალობლები. სამასპინძლო მხრიდან საგალობლები შეასრულეს სამთავისისავე ტაძრის ქალ-მგალობელთა გუნდმა (ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი) და კასპის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის ტაძრის ქალმა–მგალობლებმა (ხელმძღვანელი ლალი კალატოზიშვილი).

საპროგრამო ნომრებით გამოსვლამდე, რისთვისაც ტაძრის მთავარ კარიბჭესთან არსებული დამხმარე ხის ნაგებობის ფართო აივანი შეერჩიათ სცენად, მონაწილეებმა შეასრულეს დიდად სიმბოლური რიტუალი: შეიკრიბნენ და ლოცვა აღავლინეს ტაძრის კედლების სიახლოვეში დაკრძალული, შარშან ტრაგიკულად დაღუპული მეუფე დამიანეს საფლავთან. ლენტეხურმა ანსამბლმა "ლაგუშედამ" იქვე შემოსძახა "სვანური ზარი".

"სიმბოლური რიტუალიო", – იმიტომ ვთქვით, რომ ხუთი წლის წინათ ფესტივლის დამლოცველი და მაკურთხებელი გახლდათ იგი – სამთავისისა და კასპის ეპარქიის მღვდელმთავარი – კათოლიკოსი დამიანე (ხუფენია) – 2013 წლის 3 ნოემბრიდან 2022 წლის 30 ივლისამდე... ახლანდელი ფესტივალი კი დალოცა მამა გიორგიმ (მურღულმა) – სამთავისის ამაღლებ-




ის საკათედრო ტაძრის მღვდელმა. ახალგაზრდა მღვდელმსახური მეუფე დამიანეს შემდეგ ამაღლდა ტაძრის მრევლის სათავეში. მან ყველა მონაწილეს წარმატებული გამოსვლა და შემოქმედებითი შემდგომი მიღწევები მიუსურვილა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს ტაძარში მსახური კოლექტივის სრული სულისკვეთება და თანადგომა, რაც სტუმრებისა და დამსწრე საზოგადოების მიმართ გამოავლინეს.

***

წარმოგიდგენთ წლევანდელი ფესტივლის მონაწილე ანსამბლებსა (სულ 16 იყო, შარშანდელზე სამით მეტი) და ინდივიდუალურ შემსრულებლებს (ჩვენებური ანანო უზნაძე და თელაველი ვასო კორნიენკო შარშანაც გამოვიდნენ ახალქალაქში), მათ შორის – კასპიდან:

✦ სახალხო-ფოლკლორული ანსამბლი "ქართლი" (ხელმძღვანელი ზაზა მენაბდიშვილი) – მას გახსნის პატივი ერგო, უკვე დამკვიდრებული წესისამებრ. 2017 წლიდან ვარსკვლავოსანი 14-კაციანი კოლექტივის არსებობის ისტორია ხუთ ათეულ წელს მოიცავს. ამ ხნის განმავლობაში მეექვსეთაობელებს გაუხსნა გულისკარი. მისი უხუცესები არიან და საპატიო წევრებად ითვლებიან 90 წელს მიტანებული რობერტ გახელაძე



და მასზე მცირედით უმცროსი გოგი საჩალელი. მთლად უმცროსები კი 13-დან 17-წლამდე მორბედები და ყმაწვილკაცები არიან და მათ შვილთაშვილებად მიიჩნევიან... ამჯერად მეოთხე-მეხუთე და მეექვსეთაობელმა ქართლოსიანებმა ფესტივალი გახსნეს სიმღერით, რომელიც "ქართლის" რეპერტუარში გასული საუკუნის 70-ანი წლებიდან სრულდება – "ავთანდილ გადინადირა" (ქვემოჭალური ვარიანტი).

✦ კასპის ფოლკლორული ქალთა ანსამბლი "კაბადონი" (ხელმძღვანელი იზაბელა კობიაშვილი) – სამთავისში, შეიძლება ითქვას, მისი დებიუტი შედგა. ფესტივალში მონაწილეობა დიდი პატივი და გამოწვევაა 2023 წლის ზაფხულში შექმნილი ანსამბლისათვის. ასეთი მცირე დროის მიუხედავად, მისი პრემიერა აღინიშნა წარმატებითა და საშემსრულებლო დონით... მისი წევრი მაია მაზმიშვილი "კაბადონის" შესახებ, აი, რას მოგვითხრობს:

– დიდი ხნის წინ გამიჩნდა სურვილი, რომ კასპის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულიყო ქალთა ფოლკლორული ანსამბლი. ის ამიხდა და ახლა ოცნება კი არა, რეალობაა, რაც ძალზე მახარებს. ყველაფერი სულ ორიოდე თვის წინათ დაიწყო, როცა ჩემი იდეა გავაცანი მუსიკის დარგში გამოცდილ პედაგოგს იზაბელა კობიაშვილს, მან ხომ არაერთი თაობის ახალგაზრდებს შეაყვარა სიმღერა და მუსიკა კასპის პირველ საშუალო (ახლანდელ საჯარო) სკოლაში და ხელმძღვანელობდა მოსწავლეთა გუნდებს იქ თუ საქალაქო კულტსახლებში. ახლაც დიდი სიხარულით, ჩვეული მონდომებითა და ახლებური შემართებით მიიღო ჩემი და ჩემი მოაზრეების შეთავაზება.

ამის შემდეგ ყველამ ერთად მოვძებნეთ და შევკრიბეთ ნიჭიერი და სიმღერაზე შეყვარებული ქალბატონები, ვისაც ადრეც უმღერია ოჯახურ გარემოში თუ პროფესიულ სცენაზე. შევარჩიეთ რეპერტუარი, მოვიძიეთ სასიმღერო ტექსტები და შევუდექით კარგ საქმეს, სამსახურისშემდგომ საათებში დავიწყეთ მეცადინეობა.

აი, ასე ჩამოყალიბდა კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანებასთან არსებული ანსამბლი. მას "კაბადონი" დავარქვით, რაც "ცის სარკმელს" ნიშნავს. ასეთ დროს სათანადო თანადგომის გამოცხადებისათვის ვემადლიერებით კასპის მუნიციპალიტეტის მერს ვახტანგ მაისურაძესა და მის მოადგილეს ზურაბ კოპაძეს; ასევე, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსს თეა ხორბალაძესა და კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების დირექტორს ლალი ჯანჯალაშვილს.

ჩვენს ანსამბლში 14 წევრია ხელმძღვანელის ჩათვლით: იზაბელა კობიაშვილი, ლალი კალატოზიშვილი, თეა შაველაშვილი, ეკა კვერცხიშვილი, დები რუსუდან და მაია მაზმიშვილები, ნანა შალიტაური, მაკა კაიშაური, ხათუნა ხაჩიძე, თამარ ხოკრიშვილი, ნუნუ სუსუნიაშვილი, თეა მერებაშვილი, შორენა ჯოჯიშვილი და ლალი ღვინიაშვილი.

ჩვენმა მონდომებამ, შემართებამ, სიხალისემ, ყველას მხრიდან საკუთარი თავის მუსიკალურ სამყაროში კიდევ ერთხელ რეალიზების სურვილმა, ვფიქრობ, სასურველი შედეგი გამოიღო: ორიოდ თვის შემდეგ "კაბადონი" პირველად გამოჩნდა პუბლიკის წინაშე, თანაც, უკვე სახელიან ფესტივალზე, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია თანაქალაქელი პროფესიონალი მუსიკოსი, პედაგოგი და ლოტბარი ზაზა მენაბდიშვილი. დიდი მადლობა მას ფესტივალში ჩართვისა და მონაწილეობის ნდობისათვის, შანსის მოცემისათვის. ის ფაქტი კი, რომ ახალბედა ანსამბლმა სამთავისური გამოსვლით მოწონება და მხურვალე აპლოდისმენტი დაიმსახურა, ცხადია, ჩვენთვის დიდი სტიმულია.

✦ სიმღერის ანსამბლი "მოურავი" ქ. კასპიდან (ხელმძღვანელი რევაზ კერესელიძე) – ესაც ვარსკვლავოსანი 16-კაციანი კოლექტივია და ამით ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ არის გაცხადებული (2022 წელს გაიხსნა კასპის კულტურის ცენტრის მოედანზე). შიდა მუნიციპალური უამრავი კულტურული ღონისძიებისა და ქვეყნის მასშტაბით გამართული არაერთი ფესტივლისა და კონცერტის მონაწილე და ლაურეატია... ახლა აქაური, სამთავისური საფესტივალო რამდენიმესაათიანი მთლიანი პროგრამა

დასასრული გვ5.

# ის სიმღერაა საქართველოსი ...

დ ა ს ა ს რ უ ლ ი. დასაწყისი გვ. 4.

დააგვირგვინა თავისი გამოსვლით.

✦ ანსამბლი "სახიობა" ქ. თბილისიდან (ხელმძღვანელი დავით აბრამიშვილი) – ტრადიციული, გამოცდილი, პროფესიული 10-კაციანი კოლექტივით ფესტივალში მეორედ მონაწილეობდა.

✦ ქ. თელავის ანსამბლი "პატარა კახი" – არა მარტო კახეთის მასშტაბით ესაა ერთ-ერთი უძლიერესი ახალგაზრდული კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგანან ძმები ბექა და გოჩა ბიძინაშვილები. ფრიად საინტერესო უნდა იყოს კასპელებისათვის იმის შეტყობა, რომ მათი საგვარეულო წარმომავლობა უკავშირდება ქართლს, კერძოდ, საკავთისხეოს. ნიშანდობლივი კი ისაა, რომ გაკახელებულმა ბიძინაშვილებმა სოფელ კურდღელაურში ააგეს კავთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და წელს "თავკავთობის" დღეობაც დაიყენეს. ცხადია, ასეთ კეთილშობილურ საქმეს ძმები ბიძინაშვილები მოთაოვობდნენ. ჰოდა, ახლა წარმოიდგინეთ, მათი ხელდასხმული პატარკახელები სამთავისში როგორ იმღერებდნენ.

✦ ქ. ლენტეხის ანსამბლი "ლაგუშედა" (ხელმძღვანელი ზურაბ ლიპარტელიანი) – ფესტივლის უცვლელი მონაწილეა. თანაც, ყველაზე მრავალწევროვანი (25). ისინი მშვენივრად მღერიან და ცეკვავენ. ამასთან, თავიანთი ცეცხლოვანი ნომრებით, როგორადაც მთის ლაღ შვილებს შეეფერებათ, სვანეთის ბუმბერაზი მთებისა და მწვერვალების დარად, მუდამ ეშხსა და ლაზათს, სიხალისესა და მხნეობას მატებენ ფესტივლის მიმდინარეობას.

✦ ქ. გორის ანსამბლი "რიხი" (ხელმძღვანელი ზურაბ წკრიალაშვილი) – ახალშექმნილია, ასე, ორი წლისა, თუმცა მისი წევრები ბავშვობიდან ერთად მოდიან და გვერდიგვერდ მღერიან... ფოლკლორისტი ზ. წკრიალაშვილია მათი პედაგოგი და კარგად იცნობს შეგირდებს, ამიტომ ახალი გამოწვევების წინაშეც დააყენა, ძირითადად ქართლური ფოლკლორის პოპულარიზატორობის როლს ირგებენ. კარგადაც გამოსდით ომახიანი, რიხიანი, ზავთიანი და ვაჟკაცური მღერაშემოძახილით.

✦ ანსამბლი "ფესვები" (ხელმძღვანელი დავით უზნაძე) – სამთავისური მიწა-წყლის შვილის სალოტბაროპედაგოგიურ საქმიანობას ვინც იცნობს, მათ უთუოდ უწყიან, რომ დავით უზნაძეს ჯერაც ათეული წლების წინათ ჰყავდა ამავე სახელწოდების ბავშვთა ანსამბლი. ამჯერადაც შექმნა, ვინ მოთვლის, სათვალავით მერამდენე, უკვე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე და ძველი სახელი იმდენად ეძვირფასება, აწ სტუდენტურ პირმშოსაც "ფესვები" უწოდა... ჰოდა, სამთავისში მღეროდნენ დავით უზნაძის საშეგირდლოს წევრები და როგორ იქნება, აბა, აქ, მამისეულ სამასპინძლო, ძვირფას მხარეში მამის და მათ გვერდით არ იმყოფებოდეს დავითის ასული – ჯერაც საჯარო სკოლის მოსწავლე ანანო უზნაძე, უკვე წარმატებული და შემდგარი მომღერალი. ის მხოლოდ ათითერთმეტი წლისა იყო, პირველ ფესტივალზე როცა გამოჩნდა სცენაზე. ანანოს უყვარს სამთავისიცა და კასპიც და მუდამ ხალისით, სიამოვნებით სტუმრობს და უმღერის მშობლიური მხარის პუბლიკას, ორმხრივი პატივისცემის დასტურად.

✦ ქ. დუშეთის ანსამბლი "ქალილო" (ხელმძღვანელი დავით ქავთარაძე) – მცხეთა-მთიანეთის მხარე პირველად წარმოადგინეს. ახლანდელი მოწვევა პატივად მიითვალეს და 15-კაციანმა კოლექტივმა არც არაფერი დაიშურა მოწონებისათვის. რაც მთავარია, პირობისამებრ, საგაისოდაც ეწვევა საკასპელოს.

✦ ქ. გორის ანსამბლი "გორი" (ხელმძღვანელი გიორგი საძაგლიშვილი) – მონაწილეობდა მეორედ (პირველის ჩათვლით). სათავეში უდგას პროფესიონალი ლოტბარი და აგრძელებს მამის პროფესიულ გზას. საქმე ისაა, რომ გიორგი საძაგლიშვილი ვაჟიშვილია ლოტბარი ურან საძაგლიშვილისა, რომელიც თავის დროზე იყო ამავე ანსამბლის სოლისტი, თანაც, ასევე, დიდ მომღერალთანა და დამსახურებულ ლოტბართან მიშა მცურავიშვილთან ერთად. საინტერესოა, რომ ღვაწლმოსილი მუსიკოსი მიხეილ მცურავიშვილი ახლაც თანაქალაქელებთან იმყოფებოდა და რიგით მაყურებლობასა და მათ გულშემატკივრობას არ დაჯერდა და ახალგაზრდულ ანსამბლ "რიხს" ერთი სიმღერის შესრულების დროს უდირიჟორა კიდეც!

✦ ხალხური სიმღერების ანსამბლი "ქარელი" (ხელმძღვანელი ზაალ მაჭარაშვილი) – შიდა ქართლის მხარე წარმოდგენილი იყო კიდევ ერთი მუნიციპალიტეტის მიერ, ჭარმაგი, ასაკოვანი და ნაცადი მომღერლებით. "ქარელის" 12-კაციანი კოლექტივიც ფესტივლის ორგზის მონაწილე გახდა.

✦ ანსამბლი "ფერხისა" ქ. თბილისიდან (ხელმძღვანელი ნათია დათუაშვილი) – ახალგაზრდული კოლექტივია, თუმცა რეპერტუარში შეტანილი აქვს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი ძველებური სიმღერები და ამ მხრივ ზედმიწევნით მოერგო საფესტივალო დებულებით განსაზღვრულ და გათვალისწინებულ პირობებს – ტრადიციულობა უპირველესად!

✦ ანსამბლი "ამაღლება" ქ. ჩოხატაურიდან (ხელმძღვანელი ლალი კორიფაძე) – აბა, რა ითქმის გურულ სტუმრებზე? – მათ ბრწყინვალედ შეასრულეს ქართლური სიმღერაც, გურულზე სულაც რომ აღარაფერი ითქვას!

✦ "ლომისი", ანსამბლი ახალგორიდან (ხელმძღვანელი შალვა ილურიძე) – მასში მხოლოდ პროფესიონალები მღერიან, ასრულებენ მთის კუთხისა და ქსნის ხეობისათვის დამახასიათებელ სიმღერებს და არიან ქართლური სიმღერების ერთგული, დაულალავი, ნაცადი პოპულარიზატორები. "ლომისი" ამჟამად სოფელ წეროვანს აფარებს თავს (ზედ კასპი-მცხეთის მუნიციპალიტეტების საზღვარზე). იმედია, ეს ფესტივალი, ერთხელაც იქნება, ახალგორშიც გადაინაცვლებს და იქ ჩატარებულსაც გადმოეფარება ლომისის ხატის ძალი და მადლი!

დაბოლოს, ფესტივლის დასასრულ, ტრადიციულად და ძველებურად, სტუმარ-მასპინძლობის კვალობაზე აწყობილ-შემონახული წესისამებრ, სამთავისის ამაღლების საკათედრო ტაძრის მსახურნი, მღვდელმთავრიან-სტიქაროსიან-მგალობლებიანად, სექტემბრის მზიანი დღით განათებულ ეზოშივე, დასავლეთის გალავნის ფერხთით, გულუხვად გაშლილი სატრაპეზო სუფრით გამოემშვიდობნენ, სადაც ტაძრისავე თითქმის ათასწლოვან მარანში დაყენებული ღვინოც შეისვა ყოველთა ქართველთა დასალოცავად, ქვეყნად მშვიდობის სადიდებლად, უკეთესი ხვალინდელობის არმოსაშლელად და მღერაგალობაც ახლებურად გაჩაღდა.

# ნახერხიანი წრის ,,გენერლები,,

2023 წლის 21 სექტემბერს სოფელ იგოეთში, "ღვთისმშობლობის" საეკლესიო დღესასწაულთან დაკავშირებით, მარტივი ტიპის საჭიდაო მოაწყეს.

საქმის მოთავეებმა მრავლად შეკრებილ გულშემატკივარს მშვენიერი საჭიდაო შეჯიბრებაც შესთავაზეს. საამისოდ მონაწილენი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოიწვიეს და მათ შორის რჩეულები გულუხვადაც დაასაჩუქრეს.

მანამდე კი, ტრადიციული წესისამებრ, ასპარეზობა "ხურდებმა" გახსნეს, ანუ ახალნახერხგაფენილი საჭიდაო წრე პირველებმა დააჭაშნიკეს აქაურმა ყმაწვილკაცმა მოჭიდავეებმა – თანაკლასელმა ისაკ ბაშარულმა და გიორგი ქოქაშვილმა.

გაიცანით იგოეთური ახალი საჭიდაოს პირველი "გენერლები", ანუ, ჩემპიონები და სხვა "ოფიცრები" (პრიზიორები):

60 კილოგრამამდე წონითი კატეგორია: ჯაბა პაპინაშვილი, ვასილ მერებაშვილი და გიორგი ფეიქრიშვილი (სამივე – კასპი); 70 – სოსო მასურაშვილი (ქარელი), გიგა მრელაშვილი (ახმეტა) და საბა არავიაშვილი (ქარელი); 80 – ზურაბ ჭიღლაძე (გორი), შოთა ფავლენიშვილი (კასპი) და ერეკლე ოძელაშვილი (წყნეთი); 90 – ნიკა სიდამონიძე და გიორგი ხმალაძე (ორივე – ქარელი), ალექსანდრე არდოტ-




ელი (მარტყოფი); +90 (მძიმე წონა) – ირაკლი დემეტრაშვილი (კასპი), სოსო ებილაშვილი (მარტყოფი) და ლაშა მღებრიშვილი (გორი).

ყველა "გენერალსა" და "ოფიცერს" გადაეცა სოფლის ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფის მიერ ორგანიზებული და მოსახლეობის ჩართულობით ჩატარებული ასპარეზობის დებულებით გათვალისწინებული ფულადი ჯილდოები (შესაბამისად: 500, 300 და 200 ლარი).

ასევე, კასპის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექციის (დირექტორის მ/შ შოთა გოგიაშვილი) მიერ დაწესებული თასები, მედლები და დიპლომები.

მძიმე წონაში გამარჯვებული აბსოლუტური ფალავანი ირაკლი დემეტრაშვილი დააჯილდოეს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა, ხოლო იგოეთელთა სახელით "ცოცხალი პრიზის" სახით გამწესებული რქაგრეხილა ყოჩით – ტურნირის ორგანიზატორმა ლევან ხუციშვილმა... მათ კი, ორივე "ხურდას", ერგო, ასევე, ჩაკონვერტებული ფულადი თანხა, ხოლო წყვილში გამარჯვებულს მეტად ორიგინალური პრიზი: ქათმის მამალი!

# სტუდენტი და მოჭიდავე

ზემოხანდაკელი ჭაბუკი ბაქარ ერაშვილი 21 წლისაა. დაბადებულია 2002 წლის იანვარში. ის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტია.

მომავალი ისტორიკოსი კარგადაც სწავლობს და, თანაც, თავის გამოჩენას საჭიდაო დარბაზებსა და ღია არენებზეც ახერხებს.

იქაურ ერაშვილებს ჭიდაობისადმი სიყვარული და საგვარეულო კაი ოსტატობა მამა-პაპათაგან მოსდევთ და მოსდგამთ.

საქმე ისაა, რომ ბაქარის მამაცა და ბიძაც წარმატებული მოჭიდავეები იყვნენ: თავიანთი სოფლის გუნდის სახელითაც უჭიდავიათ, რაიონის ნაკრებშიც იყვნენ, საქართველოს ფალავნობაზეც უჭიდავიათ და ქვეყნის ნაკრების ღირსებაც დაუცავთ საერთაშორისო პირველობებზე.

ახლა ახალთაობელი ერაშვილის ჯერია. აი, როგორია ბაქარ ერაშვილის მონაგარი (მხოლოდ) 2023-ის განმავლობაში:

ჭიდაობა ძიუდო: მაისი, "ავსტრიის გრანპრი" (ქ. ლინცი) – მესამე ადგილი გუნდურ ჩათვლაში; ივნისი – "ყაზახეთის გრანსლემი" (ქ. ალმატი) – უმედლოდ; საქართველოს პირველობა (მეორე დონე) – ჩემპიონი;

ქართული ჭიდაობა: მაისი, ქ. ხაშური, საქართველოს პირველობა (ახალგაზრდებს შორის) – ჩემპიონი; საქართველოს პირველობა "საკაძის თასზე" – მესამე ადგილი (კასპის ნაკრების შემადგენლობაში); "თიანეთობა – 2023" (სექტემბერი), უფროსთა ტურნირი, 90 კილოგრამამდე წონითი კატეგორია – ჩემპიონი...

## ვეტერანები სამზეოდან ჩუმად მიდიან ...

### ზაურ დადიანიძე: 01.10.1951 — 21.09.2023



"ფეხბურთი ჩემი ცხოვრების არჩევანია, ბურთი — ჩემი დიდი მეგობარი"! — აი, ასე, თამამად, გაბედულად, გულისმიერი და შინაგანი მრწამსის კარნახით ამისი თქმა შეეძლო სწორედაც მას:

კასპელ (კავთისხეველ) ვეტერან ფეხბურთელს — ვინც მშობლიური ქალაქის საფეხბურთო გუნდს, "განთიადს", მრავალი წლის განმავლობაში უკაპიტნა, ყველაზე ხანგრძლივად უერთგულა, მის რიგებში თითქმის 15 სეზონის პერიოდში თამაშობდა და წარმოადგენდა მისი დაცვის საიმედო და გაუვალ ბურჯს (№4), ხოლო საჭიროებისას ამპლუაც შეუცვლია და კარის დარაჯობაც უკისრია;

— რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს — ვინც აქტიური საფეხბურთო კარიერის შემდეგ, ბუცები კედელზე კი არ ჩამოკიდა (დიდი მოკრივეების დარად), არც კი გაიხადა და კასპის თუ სხვა ქალაქების მოედნებზე მსაჯის როლში გვევლინებოდა; ვინც დიდი ამაგი დასდო საქართველოში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას;

— სპორტული პრესის სტაჟიან მკითხველს — ვინც განსაკუთრებით გაზეთ "ლელოს" ჩაკირკიტებით კითხვას ამჯობინებდა ათწლეულების მანძილზე და ქართული თუ უცხოური სპორტის სიახლეების კურსში დღენიადაგ იმყოფებოდა;

— კასპის რაიონის (მუნიციპალიტეტის) სპორტის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე საქმიან და გამოცდილ სპორტმუშაკს — ვისაც ფიზკულტურის მეთოდისტად რამდენიმე სამრეწველო კოლექტივში უმუშავია და ამჟამადაც კასპის სპორტდაწესებულებათა გაერთიანების სპეციალისტად საქმიანობდა...

ზაურ დადიანიძე (იგივე ჩვენი და ყველას ევგენი ქერდიყოშვილი) იყო მრავალმხრივ გამორჩეული კასპელი კაი კაცი — გულისხმიერი, მომკითხველი, უღალატო, მეგობრული, სახელიმილიანი და დაუღლელი, მუდამ სპორტულად მხნე და შემართული... დიახ, იყო და კასპელი მეგობრების ხსოვნაში დარჩება იმ კაცად, ვისაც თავისი ცხოვრების მეგზურად ამოერჩია ფეხბურთი და სიცოცხლეში, თვით ბოლო ამოსუნთქვამდე, მეგობრობდა ბურთთან.

26 სექტემბერს სოფ. კავთისხევში, მისი დაკრძალვის დღეს, მისეული სახლის ეზოში, მეგობარი ფეხბურთელების მხრიდან გამოჩენილი გულისხმიერების დასტურად, სიმბოლურად ჟღერდა კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის მუსიკალური ჰანგები საფეხბურთო ჰიმნიდან "დინამო, დინამო", ხოლო 13 ოქტომბერს კასპის სტადიონზე მატჩი დაიწყო წუთიერი დუმილით.

(წლევანდელი ოქტომბრის ბოლოს 40 დღე გასრულდება მისი ტრაგიკული გარდაცვალებიდან, სექტემბერში თბილისური ავტოსაგზაო უბედური შემთხვევის შედეგად დატოვა მზეისქვეშეთი).

## საფეხბურთო ტალღაზე...

"კასპი — 1936"-მა საქართველოს რეგიონული ლიგა—5-ის გათამაშების მეორე წრის სტარტზე მარცხი რომ იწვნია ხაშურში და შემდეგ თბილისში გაიმარჯვა ცხრილის ფსკერზე მყოფ გუნდთან, ამაზე წინა გამოშვებაში გაუწყეთ. ამასობაში მან კიდევ რამდენიმე მატჩი გამართა: 6 ოქტომბერს თბილისში "ირაო—2"-ის გუნდთან დიდი ანგარიშით მარცხი იწვნია (1:5), 13 ოქტომბერს საკუთარ მოედანზე მიიღო თბილისის "ვაზისუბანი" და ამჯერადაც იგივე ანგარიში დაფიქსირდა თამაშში, ოღონდ, არა მასპინძელთა, არამედ სტუმართა სასარგებლოდ. ამის შემდეგ, 18-ში ქარელში ეწვია იქაურ "იბერიას", რომელიც ჩვენ გუნდზე მაჩანჩალაა და 16 თამაშიდან მხოლოდ ერთი ქულა მოეპოვებინა. და, როგორ გგონიათ, რომელმა გუნდმა გადასძალა? — "კასპი — 1936"-მა ეს თამაში უგოლო ზავით დაამთავრა 24 ოქტომბერს შინ დაუხვდა ახალციხის "სამცხეს" და აი, ნოემბერში რჩება გასამართავი 4 თამაში და აქედან სამ მეტოქესთან პირველ წრეში წაგებებისთვის რევანში მართებს, მაგრამ ძნელად რომ ეს მოახერხოს... აშკარაა, კასპის გუნდს სერიოზული დახმარება სჭირდება უკვე ამ ეტაპზე, რადგანაც არავის არ უნდა აკმაყოფილებდეს მისი ყველაზე დაბალ ლიგაში ყოფნა და არც ის საფეხურებრივი მდგომარეობა, იქ რომ უკავია (!!!).

რადიკალურად განსხვავებული შედეგი გააჩნია "მასტერლიგის" ეგიდით მიმდინარე პირველობაში "ა" ჯგუფში მოასპარეზე "კასპის" ფეხბურთელთა გუნდს. 10-გუნდიან ჯგუფში მათ ყველა მეტოქეს სძლიეს, მათ შორის ბოლო, გადამწყვეტ ტურში — დუშეთის "კოსმოს" (3:1) და პირველი ადგილი დაიკავეს. უფრო ზუსტად, დუშელებს დაათმობინეს და ჩამოართვეს, რადგანაც მათაც ყველა თამაში მოეგოთ და, თანაც, საკუთარი მოედნის ფაქტორს ამართლებდნენ იმითაც, რომ ყველასთვის დიდი ანგარიშით მოეგოთ და პირველობის მთელი მიმდინარეობის პერიოდში ცხრილის სათავეში მყარად და იმედიანად იმყოფებოდნენ. აი, ბოლო თამაშში კასპელებმა ისინი სხვა რეალობის წინაშე დააყენეს. ასე იყო თუ ისე, ორივე გადაერთო საპლეიოფო გათამაშებაში. ამ ეტაპზეც კასპელებმა ისევ გააგრძელეს გამარჯვებათა სერია: 9 ოქტომბერს მერვედფინალურ ორთაბრძოლაში "ალფა" დაამარცხეს (6:2), ხოლო 14 ოქტომბერს მეოთხედფინალში ტექნიკური მოგება ჩაეთვალა (5:0, მეტოქის გამოუცხადებლობის გამო).

ამრიგად, "კასპის" შედეგი ასეთია ჯგუფურ ეტაპზე: 9 თამაშიდან 9 გამარჯვება! ბურთების სხვაობა 41:16; პლეიოფის ეტაპზე: 2 თამაში — 2 გამარჯვება, ბურთები 11:2-ზე.

"შიდა ქართლი — 2023"-ის პირველობა მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდებს შორის ამჯერადაც გაიმართა შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, მხარეში შემავალი ოთხივე მუნიციპალიტეტის მერიებისა და შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი ორგანიზებით. 25 და 28 სექტემბერს გაიმართა ნახევარფინალური და ფინალური მატჩები. ადგილები ასეთნაირად გადანაწილდა: ჩემპიონი — გორის ნაკრები, მ,ეორე ადგილი — ხაშური, მესამე — ქარელი და მეოთხე ადგილი — კასპი.

## მალხაზ კუმლაძის ხსოვნის მემორიალი

2023 წლის 7 და 8 ოქტომბერს კასპის სპორტკომპლექსის მრავალპროფილურ სასპორტო დარბაზში საჭიდაო ხალიჩა გაიშალა. აქ ჩატარდა ახლო წარსულში პერსპექტიული ახალგაზრდა მოჭიდავის, ავტოავარიაში ტრაგიკულად დაღუპული მალხაზ კუმლაძის (09.10.1984 — 21.06.2017) ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული მემორიალური ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში, 2011–12 წლებში დაბადებულ ვაჟთა და 2008–09 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის.

შეჯიბრების ორგანიზატორები: კასპის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება (დირექტორის მ/შ შოთა გოგიაშვილი) და საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი გიორგი ათაბეგაშვილი).

ხელმძღვანელები: ორდღიანი ტურნირის კომისარი — კობა ედიშერაშვილი (ფედერაციის წარმომადგენელი), მთავარი მსაჯი — იოსებ მამულაშვილი, მდივანი — ალექსანდრე ხუციშვილი, მსაჯები — ფედერაციის მხრიდან დანიშნული მსაჯები.

მონაწილეთა გეოგრაფიული არეალი: ქალაქები და სოფლები — კასპი, თბილისი, გორი, ხაშური, ქარელი, ახმეტა, მცხეთა, რუსთავი, თიანეთი, ზესტაფონი, დუშეთი, დმანისი, ტყიბული, საგარეჯო, სიღნაღი, სამგორი, მუხიანი, წილკანი, ჟინვალი; ასევე, ძიუდოს კლუბები — ხაბარელი, ჯორჯია, შევარდენი, გორიჯვარი, ოლიმპი.



მონაწილეთა რაოდენობა — 297, წონითი კატეგორიები: 11 (ვაჟთა შორის) და 9 (გოგონებში).

საპატიო კვარცხლბეკი: გაგაცნობთ ვაჟებიდან 2 კატეგორიის ჩემპიონებსა და პრიზიორებს, სადაც კასპელმა ნორჩმა ძიუდოისტებმა გაიმარჯვეს, ანდა, საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

30 კილოგრამი: პირველი — დაჩი პაპინაშვილი (კასპი), მეორე — დაჩი ლაზუაშვილი (მუხიანი), მესამე — გიორგი ჭკადუა (ჯორჯია) და ტატო გვარამაძე (მუხიანი); 40 — ცოტნე დოინჯაშვილი (კასპი), სანდრო ცალანი (ოლიმპი), ოთარ კალატოზიშვილი (თბილისი) და გიგლა დვალი (ზესტაფონი). 46 კილოგრამის კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ლუკა ხოდელმა, ხოლო 66-ში — ჯუმბერ ყურაშვილმა.

გოგონათა შორის, გვყავს, ასევე, მესამე პრიზიორები — დები სალომე და თიკო ბეგლარაშვილები (შესაბამისად, 44 და 57 კილოგრამის კატეგორიები).

## მოკლედ

ჭიდაობა სამბო: წლევანდელ სექტემბერში ქ. ფოთში, ზურაბ ტუღუშის სახელობის ტურნირში, კასპის სპორტგაერთიანების სპორტსმენებიდან ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს და მესამე პრიზიორები გახდნენ: ალეკო და გიორგი ხიზამბარელები (53 კილოგრამამდე წონითი კატეგორიაში), ვასილ მერებაშვილი (64) და დავით ნინიკაშვილი (74).

კიკბოქსინგი: ქ. გორის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტსკოლის დარბაზში წარმატებით გამოვიდა კასპელი სამი ჭაბუკი: ლუკა ყეინაშვილმა (დოესის საჯარო სკოლის მოსწავლე გამოდიოდა გორის სახელით, რადგანაც იქ ვარჯიშობს), ასევე, კასპის მესამესკოლელმა ნიკა ბერიანიძემ ჩემპიონობა მოიპოვეს, ხოლო გურამ კორკოტაშვილმა მესამე ადგილი დაიკავა.

ჭადრაკი: "ახალციხე — 2023"-ის აღნიშვნასთან დაკავშირებით მოწყობილ საჭადრაკო ფესტივალში ჩემპიონის მედალი დაისაკუთრა ნიკოლოზ ჯანგიშერაშვილმა (სოფელი ახალციხე). ასე რომ, შიდა ქართლის სოფელ ახალციხეში მცხოვრებმა ყმაწვილკაცმა მესხეთ-ჯავახეთის ახალციხე "დაიპყრო".

მარათონი: "თბილისობა — 2023"-ის დღესასწაულის სპორტული პროგრამის ფარგლებში კომპანია "ჰაიდელბერგცემენტმა", ტრადიციულად, მოაწყო მარათონული გარბენი ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევრებისა და მოყვარულებისათვის. მასში მონაწილეობდნენ ლეხურისპირელი მარათონელებიც: ძმები ვახტანგ და ნიკა ჩხეიძეები, (კასპელი მოყვარულები ცემენტის ქარხნიდან), ასევე, თორნიკე რუსიტაშვილი (სამთავისელი პროფესიონალი მარათონელი).

ქართული ჭიდაობა: "თბილისობა — 2023"-ის ღონისძიებაში, ასევე, ჩართული იყო ჩოხოსანთა ასპარეზობა, პირველ ოქტომბერს "თბილისობის" აბსოლუტურ ფალავნობაზე ვიცე-ჩემპიონის ვერცხლის მედლით დაიმშვენა მკერდი ჩვენებურმა ახალგაზრდამ, ირაკლი დემეტრაშვილმა.

# დიდედა დოესიდან

ატენელი მიხანაშვილების ყმაწვილქალი კატო ოცდაორი წლისა იყო, მამას მისი ხელისმთხოვნელი როცა მიადგა. დოესელმა მოხდენილმა ვაჟკაცმა ამირან ბაიდაურმა ზედაველა გადაიარა და, გორამდე არმისული, ტანას ხეობას შეუყვა. მთხოვნელთა რიგით თავგაბეზრებულ მამას ასული გამოსთხოვა:

— შენი ქალისათვის თვალი



დამიკრავს. გული მასზე შემვარდნია. აგერ მე და აგერ ჩემი ვაჟკაცობა! გამატანე და მთელი ცხოვრება ერთგულ და ერთსულ შევიქნებითო!

ასე იყო თუ ისე, უფრო ლირიულად თუ უფრო ნაკლებ პროზაულად, ბედნიერებით ცასწეულმა ამირან



ბაიდაურმა დოესში მშობლებთან წარიგვარა ტანასხეობელი ასული.

ეს მოხდა წინარე საუკუნეში. იდგა ნათლივგაბრწყინებული დღე — ომში სახალხო გამარჯვებისა: 1945 წლისა, მაისის ცხრისა!

***

ჩვენში, ქართლში, ძველდროებაში არსებობდა ერთი სიტყვა — აწონილი, პატივგებით აღსავსე: — დიდედა!

მთელი დოესის დიდმა დედამ, დიდედა ეკატერინემ ცხოვრების სასწორის უსწორმასწორო საპირწონეზე სულ ახლახან, შუა ოქტომბერში, შემოდო საკუთრივ წილხვდომილი საუკუნე, ანუ კალენდარული ათვლის სათვალავისა და საზომის 100-წლიანი პერიოდი. თქვენ ეხუმრებით ამას? ეს ხომ სრული საუკუნეა, რომელსაც არ დაკლებია არცა ერთი დღე და ერთი საათი, არცა მისხალნაკლები წამისა, უგრძესი წუთისოფლისა...

როცა იყო ჯერაც სახლის პატარძალი, მერე უბნის თვალი და შემდგომ სულაც სოფლის ქალი, სამეზობლოში თუ სანაცნობოში — დეიდა და დიდედა კატო... ოჰ, როგორი შეკრებები იმართებოდა მის თბილ და მყუდრო "კუხნაში", სადაც უბნის ქალები სამუსაიფო ქსელს აბამდნენ და მოგუზგუზე ღუმელთან პატარები მიყუჟულიყვნენ და სიყვარულით შეჰყურებდნენ მასპინძელ ბებოს, მათთვისაც რომ მიერთმევია სასუსნავი... ის ბავშვები ახლა კაცები არიან და ძალიან უხარიათ ბებო კატოს ასწლოვანება, ის ძველი დროება ენატრებათ. მათაც მიულოცეს იუბილე. განა "საუკუნის სუფრა" ხშირად იმართება დოესში? ჰო, ერთმა შინაურმა ესეც გაიხსენა:

— უნდა მოსწრებოდა 100 წელს, რატომაც არა! მაგას ეს განგებამ დააკისრა ვალდებულებად, ბაიდაურების ოჯახში ახალშესულმა თურმე ისეთი გულისხმიერებით მოუარა მეუღლის ლოგინში მწოლიარე ავადმყოფს, პაპა 102 წლისა მიიცვალა და მან, რამდენჯერმე გულითადად დალოცა: — შენზე გამიგონია, გარეთ სიკეთეს თესავსო, შინაც ასეთი ყოფილხარ, თვითვე ვხედავ. მუდამ გაგეცეს სიკეთე, ის გადამდებია! ჩემხნოვანებდე იცოცხლე, შვილოო!

აგერ, აღმოჩნდა, რომ სიკეთის ქმნა უშურველობაა, გადამდები მაგალითია და პაპისეულმა დალოცვამაც "გაჭრა" დიდი დახანების შემდეგ... საუკუნემოლეულმა დიდედა ეკატერინემ "საუკუნის სუფრასთან", იცით, როგორ დალოცა მიმლოცველები, უახლოესი გარემოცვის დიდ-პატარა?

— გაგიმარჯოთ! გაცოცხლოთ! გამჩენმა მუდამ სიკეთის გზით გატაროთ!

დასტურ, დოესელო დიდედავ! მერედა, პირადად თუ საქვეყნოდ როგორ გვესაჭიროება დიდ-მცირე გამარჯვებები! როგორ გვწყურია ეს დალოცვილი ტკბილ-მწარე სიცოცხლე! ის ხომ მოკვდავობისათვის გამწესებული ნებისმიერი კაცისათვის ბოძებული ღვთიური მადლია, — რთულად სატარებელი, მაგრამ მაინც სანატრელი.

***

მეუღლესთან 48 წელიწადს გუთნისდედობდა და გუთნისხარობდა. დედის გულისბაღჩაში სამი ვარდი ამოიშალა, ჯერ ვაჟიშვილი, მერე — ორი ქალიშვილი. საუღელო წყვილმა მათ გზაზე დაყენებასა და განათლებას შეალია დღენი, კეთილად დაუფასდათ, გაუმართლათ! დამბად ქვეყანას სამივემ არგო.

რობერტ ბაიდაური აგრარული სექტორის კვალიფიციური სპეციალისტი გამოვიდა და დიდი ამაგი დასდო კასპის რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებას, მელიორაციული და აგრონომიული მიმართულებით (მადლი და ღვაწლი სოფლისათვის მისმა მეუღლემაც გაიღო — დოესის საჯარო სკოლის პირველი კატეგორიის პედაგოგი, გეოგრაფიის მასწავლებელი ეთერი ოხანაშვილი ათწლეულების მანძილზე ასწავლიდა თანასოფლელ ახალგაზრდებს).

ასულების ამბავიც ვიკითხოთ: ლალი და დალი ბაიდაურები ღვაწლმოსილი პროფესორები ბრძანდებიან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ისინიც აგრარული სექტორის მეცნიერმუშაკები არიან. აწ გარდაცვლილი ძმისაგან განსხვავებით საკუთარი ოჯახები არ შეუქმნიათ. ამიტომ შედარებით მცირერიცხოვანია დიდედა ეკატერინეს საკუთარი მონაგარი და შთამომავლობა, რაიც ასე ჩამოითვლება სადღეისოდ:

2 შვილი, 2 შვილიშვილი, 4 შვილთაშვილი, 2 შვილიშვილის შვილიშვილი... (სადღეისოდ—მეთქი. ჰოდა, იმრავლონ! დაე, იარონ კეთილი გზებით! ამინ!).

**ამირან ტალახაძე**

# ,,კასპობა - 2023,,

*გაგრძელება დასაწყისი იხ. 2-3.გვ.*

ნიშნავს, რომ გამოსვლა ყველა მოხალისეს შეეძლო, თვით არაკასპელებისა და სტუმრების ჩათვლით, ვისაც კი საამისო პირადი სურვილი გააჩნდა და საკუთარი თავის, სიჩაუქის, მკლავისა თუ მუხლის იმედი ჰქონდა.

ქართული ჭიდაობა: საჭიდაოლეიბი ქალაქის ზედ შუაგულმოედანზე დაეგოთ — ქართლისა და თბილისის ოდინდელი დროხანიერის დიდი მოურავის გიორგი სააკაძის, დიდებული ძეგლის თითქმის ფერხთით, და, სახალხო გმირი მედიდური და ზვიადი მზერით ყველაზე ზემოდან გადმოყურებდა ტალიკ-ტალიკ მოასპარეზეებს. აქ ყველაზე ფიცხელი ორთაბრძოლები გაიმართა და წრეში გადასულებს გულშემატკივრებიც ამხნევებდნენ — ადექი, ადექი! მერე დაისვენე შინ! მიდი, ბიჭო, იჭიდავე!

ხუთივე წონით კატეგორიაში მასპინძლებმა იყოჩაღეს: 50 კილოგრამამდე წონიანებში — მეტეხელმა თემურ ოდოშაშვილმა, 55-ანებში — მისმა თანასოფლელმა და მოგვარემ, მიხეილ ოდოშაშვილმა, 60-ში — ქვემოჭალელმა თორნიკე გორჯოლაძემ, 66 კილოგრამში — დოესელმა სოსო ბეგლარაშვილმა, ხოლო მძიმე წონაში იმარჯვა მეტეხელმა თემურ რაზმაძემ.

ვიცე-ჩემპიონობას ამჯერზე გამორჩნენ: ირაკლი რთველაძე (მეტეხი), კახა კოშაძე (კასპი), ლუკა გულდედავა და გიორგი ფავლენიშვილი (ორივე ლამისყანა); მესამეადგილოსნობით დაკმაყოფილდნენ: მეტეხელი ამირან მანჯავიძე და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (კასპი); მხოლოდ სამი საპრიზო ადგილი იკუთვნეს სტუმარი მხარის წარმომადგენლებმა: წილკნელმა ამირან მასპინძელაშვილმა, რუსთაველმა ნოდარ მაჭარაშვილმა და ტყიბულელმა ანზორ ქურციკიძემ.

მკლავჭიდი: ქართულ ჭიდაობაში გამოსულ ჭაბუკებზე მეტი თუ არა, ნაკლები ჟინი და შემართება ნამდვილად არ გამოუჩენიათ მათ, ვისაც თავმოწონება და სამეგობრო წრეში თუ გულშემატკივართა თვალში თავგამოჩენა მოეწადინებინა, სწორედაც რომ საკუთარი მარჯვენა-მარცხენა მკლავის სიძლიერით, გადაუწევლობით, თუნდაც ოდნავი გადაუხრელობით.

კიდევ ერთი პარალელი მოჭიდავეებთან: აქ, მკლავჭიდში, აშკარა იყო სხვათა უპირატესობა, კერძოდ, თბილისელი სპორტსმენებისა. მათ გაიმარჯვეს სამ წონით კატეგორიაში: 75 კილოგრამში — ლუკა სიჭინავამ, 85-ში — ლევან კვარაცხელიამ, ხოლო აბსოლუტურ წონაში (+100 კგ.) დუგლას დგებუაძემ.

მხოლოდ ერთ წონაში, დაბალწონოსანთა შორის, გვყავს ჩემპიონი: ვახტანგ ჯლანტიაშვილი. ნოსტელი მკლავჭიდელისა და მისი თანაგუნდელების გამოსვლა როგორ უნდა შევაფასოთ — წარმატებად ჩავუთვალოთ, დამაკმაყოფილებლად შევუფასოთ თუ როგორ? — ამის თაობაზე, აი, რას ამბობს კასპის სპორტგაერთიანების მკლავჭიდის ჯგუფის მწვრთნელი ამირან რთველიაშვილი:

— დიდი ხანი არაა, რაც კასპში ჩვენი ჯგუფი ჩამოყალიბდა (ჩემთან ერთად მასწავლებლობს ლაშა მერებაშვილი). "კასპობის" წლევანდელ ასპარეზობაზე, ფაქტიურად, ჩვენი ბიჭების დებიუტი შედგა. მართალია, ვერ გაჩემპიონდნენ, მაგრამ, საერთო მონაგარი ურიგო არაა, ხუმრობა როდია, ოთხივე კატეგორიაში მეორე-მესამე საპრიზო ადგილები მათ დაიმსახურეს: მსუბუქთა წონაში — გიორგი ხალიბეგაშვილმა და ვალერი ღონღაძემ, საშუალოში — დავით ნატროშვილმა და მიხეილ მელაძემ, მძიმე წონაში — ოთარ ბოლოთაშვილმა, ხოლო აბსოლუტურ პირველობაზე, მეორე იყო ლევან სულთანიშვილი. გვჯერა, გამოცდილების დაგროვებისა და მონდომებული, სისტემატური ვარჯიშების კვალობაზე, კასპელი მკლავჭიდელები მალე უკეთესად გამოჩნდებიან არა მარტო კასპში, საქართველოს ფარგლებშიც. მკლავჭიდი ვაჟკაცური სახეობაა, ჩვენში კი სპორტის რაინდები არასოდეს გამოლეულან!

... ნოსტელმა ჭაბუკმა, ვახტანგ ჯლანტიაშვილმა, ზემოთაც ითქვა, გაიმარჯვა მსუბუქ წონაში (65 კგ.) მოასპარეზეებში. იმ დღეს მას ყველაზე დაინტერესებული ქომაგი ჰყავდა სოფელ ახალციხის საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებლის, შამილ ჯანგიშერაშვილის, სახით. საქმე ისაა, რომ ვახტანგი სწორედ მასთან ვარჯიშობს ახალციხეში, ჭიდაობის სექციაში. ახლა უპრიანია, სიტყვა მის მწვრთნელს გადავცეთ:

შამილ ჯანგიშერაშვილი — ვახტანგმა ახლახან დაამთავრა საჯარო სკოლა. ამჯერად სამხედრო-სავალდებულო სამსახურს იხდის. თავისუფალ დროს სპორტის სხვადასხვა სახეობაში ვარჯიშობს. იგი მრავალმხრივი შესაძლებლობების სპორტსმენია. მაგალითად, წელს, სამაისო კროსგარბენში მონაწილეობდა კასპში და მეხუთე შედეგი უჩვენა. მხოლოდ მკლავჭიდში როდი გაიმარჯვა, მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაშიც პირველობა მოიპოვა. ასე გახდა ის ერთი მუნიციპალური სპორტული დღესასწაულის 2-გზის ჩემპიონი, ანუ მთელი "კასპობის"

**დასასრული გვ8.**

## მადლობა



ის სულ ასეთი გვახსოვს საქმიანი, ენერგიული, საწერი კალმით "შეიარარებული", საქმეზე შეყვარებული, გაზეთის ერთგული... მასთან ერთად ნებისმიერ საქმეს შეეჭიდებოდი, ნებისმიერს შეეხიდებოდი, მისი გულწრფელობა განაიარაღებდა უგულო მტერსაც და ჩასაფრებულ არაკეთილმოსურნესაც.

გაზეთისთვის ბევრს გაუძლო, აიტანა და თავისი დრო გაიტანა.

როგორ პათეტიკურადაც უნდა ჟღერდეს, მისი წილი განთიადი დღესაც აქტიურადაა განათებული.

ბევრს არ უერთგულია ჩვენი საერთო საქმისათვის ისე, როგორც დღემდე მოუღლელ, უბერებელ, მარადიულ "განთიადელ" ნორა ედიშერაშვილს.

მართალმა საქმემ და გაზეთის ერთგულებამ დღემდე გამარჯვებული მოიყვანა, მავანნი კი არასასურველ მოგონებად დარჩნენ...

ქალბატონო ნორა! ვსარგებლობთ შემთხვევით და გილოცავთ დაბადების დღეს! იყავით ჯანმრთელი, დღეგრძელი! გისურვებთ თქვენც და ჩვენ თავსაც, ერთად აღვნიშნოთ ჩვენი "განთიადის" 100 წლის იუბილე!




*შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები.*



# „კასპობა - 2023"









*დასასრული დასაწყისი იხ. გვ 2-3-7.*

გმირი, რასაც გულწრფელად ვულოცავ!

ჭადრაკი: გახარებულმა და კმაყოფილმა მწვრთნელმა შეგირდის წარმატება კი შეაფასა და მიულოცა კიდეც, მაგრამ არაფერი უთქვამს საკუთარ თავზე: საქმე კი ისაა, რომ ისიც 2-გზის "ჩემპიონი – მწვრთნელი" შეიქმნა 22 ოქტომბერს: მისმა 12 წლის ვაჟიშვილმა ნიკოლოზ ჯანგიშერაშვილმა მოიპოვა "კასპობა – 2023"-ს ჩემპიონობა მოჭადრაკეთა შორის.

საინტერესოა, რომ ნორჩმა მოჭადრაკეებმა ქალაქის ცენტრში დაწყებული შეჯიბრება მეორე დღესაც გააგრძელეს (პირველ დღეს დროში ვერ ჩაეტივნენ) და სპორტკომპლექსის დარბაზის ოთახში დაასრულეს. საფინალო, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ნიკოლოზმა გაიმარჯვა თანატოლ კონკურენტთან, ანდრია ზაქარაშვილთან.

შაში: სპორტგაერთიანების შაშის წრის პედაგოგი ლიანა ყაზარაშვილი:

— შეჯიბრებაში 20-ზე მეტი ნორჩი მოშაშე ვიხილეთ. ყველაზე მეტნი ჩვენი წრიდან იყვნენ. აი, ვინ გვყავდა ჩვენს გუნდში: გიორგი ხარატიშვილი, მარიამ ყაზარაშვილი, ლილე ხარატიშვილი, ილია გოგილაშვილი, გიორგი ჩიტიშვილი, მარიამ იაძე (ზემო ხანდაკიდანაა, სხვები — კასპიდან). პატარებმა ტოლი არ დაუდეს ასაკით უფროსებს. გამოვიყენეთ ოლიმპიური სისტემა.

საბოლოოდ, ასეთი შედეგები მივიღეთ:

პირველ ადგილზე გავიდა ცოტნე გაროზაშვილი — მოსწავლე სოფელ ზემო რენედან. მეორე შედეგი აღმოაჩნდა კასპის შპს "ბესიკ ნიპარიშვილი" — მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეს ილია გოგილაშვილს, ხოლო მესამე — კასპის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეს გიორგი ხარატიშვილს. ეს ტურნირი ილიასა და გიორგისათვის პირველი იყო, ამიტომ უნებურად ღელავდნენ კიდეც. კარგია, რომ ორივემ შეძლო საკუთარი თავის "აყვანა". ისინი ჩემპიონს მცირედი ქულათა სხვაობით ჩამორჩნენ.

მინდა, ჩემს აღსაზრდელებს სამომავლო წარმატება ვუსურვო. ჩვენ ხომ უამრავი შეჯიბრება მოგველის.

აღნიშნულ შეჯიბრებას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ სპორტგაერთიანების დირექტორის მ/შ შოთა გოგიაშვილი და მენეჯერი ჯუმბერ სიდამონიძე, ხოლო მსაჯობდნენ ვეტერანი მოშაშეები პაატა დაბრუნდაშვილი და ლიანა ყაზარაშვილი.

მინიფეხბურთი: შეჯიბრება ორმაგი პროგრამის ხასიათს ატარებდა. კომპანია "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" კასპის ქარხნის განახლებულ მოედანზე ჩატარდა და დააგვირგვინა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის წლევანდელი გათამაშება.

ჩემპიონობა მოიპოვეს სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის მოსწავლე-მინიფეხბურთელებმა (სპორტისა და ფიზაღზრდის მასწავლებელი ალექსანდრე ნონიკაშვილი). მეორე ადგილი დაიკავეს მეტეხელმა (მასწავლებელი ჯონდო როსებაშვილი), ხოლო მესამე ქ. კასპის პირველი საჯარო სკოლის გუნდის მოთამაშეებმა (მასწავლებელი გოდერძი მარიდაშვილი).

დაბოლოს...

სცენა "კასპობის" მეორე დღეს ქალაქის ქუჩაში:

— დედა, დედა, ცხენიანი და დროშიანი კაცები დღეს აღარ გამოჩნდებიან? — ეკითხება ორიოდე წლის ბიჭუნა მშობელს.

— არა, ჩემო პატარავ... მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, როცა კასპობა კიდევ ჩატარდება...

„ახალი განთიადი" იძიებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად. მოგმართავთ თხოვნით - დატოვეთ თქვენი კვალი მატიანეში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო ფოტოები!

**გახდით ჩვენი მკითხველი, გამოიწერეთ "ახალი განთიადი"!**

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76